საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის
მერია

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARIA
KHULO MUNICIPALITY
CITY HALL

წერილის ნომერი: **98-982136520**
თარიღი: **31/12/2021**
პინი: **2793**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო დავით,

თქვენი 2021 წლის 24 დეკემბრის №09-02-16/693 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა დამტკიცებული არ არის (დამტკიცებულია მხოლოდ კურორტ „გოდერძი“-ს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, თუმცა დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა, რომლის საშუალებითაც განსაზღვრულია ტერიტორიის განვითარების ან/და გამოყენების გარკვეული მიმართულებები. შესაბამისად მიმდინარე პერიოდისათვის ვიყენებთ დამტკიცებული სივრცითი მოწყობის გეგმით მითითებულ რეკომენდაციებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მითითებით, მუნიციპალიტეტის მერია აღარ ახორციელებს „ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის რეგულირების ღონისძიებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის განთავსების საკითხის შეთანხმებას ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის რეგულირების საბჭოსთან.

პატივისცემით,

ვახტანგ ბერიძე

ხულოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი